ზუგდიდის რეგიონალური
სავაჭრო - სამრეწველო პალატა
შ.პ.ს. ფირმა „ზუგდიდექსპერტიზა"

ქ. ზუგდიდი. რუსთაველის ქ. №93 ტელ: (0415)22-12-30 მობ. 555-14-11-12.
ა/ა 36020149 „სახალხო ბანკი"-ს ზუგდიდის ფილიალი.

ქ. ზუგდიდი 08. 12. 2015 წ.

# ექსპერტიზის აქტი №411

1. აქტის შედგენის ადგილი: *ქ. ზუგდიდი*
2. აქტი შეადგინა ექსპერტმა: *ზ. ბერულავა*
3. ექსპერტიზის დამკვეთი და მისი მისამართი: *სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დაჩცელის №1 საჯარო სკოლა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. დარჩელი, ს/კ 220373628.*
4. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი: *მომართვა №182 10 .11.2015წ.*
5. ექსპერტიზის ამოცანა: *დადგენილ იქნას სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული, სოფ. დარჩელში, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე განთავსებული ძველი ავტოფარეხის შენობების ტექნიკური მდგომარეობა.*
6. საქმის (წარმოდგენილი) მასალების გამოკვლევის შედეგები და ექსპერტიზის დასკვნა:

*სსიპ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარცელის №1 საჯარო სკოლის 10.11.2015წ. №182 მომართვის საფუძველზე ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით დათვალიერებულ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. დარჩელში (მიწის უძრავი ქონების ს/კ 43.25.43.006) მდებარე საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ყოფილი ავტოფარეხის შენობა.*

*ვიზუალური დათვალიერებითა და მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით დადგინდა: ძველი ავტოფარეხი (შენობა №03) წარმოადგენს ერთსართულიან კაპიტალურ შენობას გაბარიტული ზომებით (10,32X12,5)მ. საერთო ფართით 107კვ.მ. შენობა შევიდა ექსპლუატაციაში 1970 წელს, განეკუთვნება კაპიტალობის II ჯგუფს.*

*შენობის ძირითადი კონსტრუქციული ელემენტებია: საძირკველი და ზეძირკველი - ლენტური მონოლითური ბეტონის; კედლები - წვრილი საკედლე ბლოკების სისქით 40სმ; სეისმური სარტყლები და ზღუდარები - რ/ბეტონის; გადახურვა - რ/ბეტონის ღრუტანიანი ფილების; სახურავი - რბილი, რუბეროიდის;*

*შენობა დღეის მდგომარეობით ავარიულ მდგომარეობაშია, დაზიანებულია რუბეროიდის სახურავი, რის შედეგად შენობას აწვიმს. ყინვისა და ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებით შენობის კედლებიდან ჩამოცვენილია ქვიშა-ცემენტის ხსნარის შიდა მოპირკეთება, დაწყებულია წვრილი საკედლე ბლოკების კედლების განვითრებადი დაშლა, ასევე დაწყებული აქვს განვითარებადი დაშლა შენობის რ/ბეტონის გადახურვის ღრუტანიან ფილებს და რ/ბეტონის კოჭებს (ზღუდარები და სარტყლები) გაშიშვლებულია და კოროზირებულია არმატურა, რაც ძირითადად განაპირობებს შენობის ავარიულობას.*

*შენობის საერთო ფიზიკური ცვეთა შეადგენს - 64,6% (იხ. დანართი №1) ხოლო საერთო ვარგისიანობის ინდექსი შეადგენს - 0,205 ე.ი. შენობის აღდგენის ღირებულება მისი რეალური ღირებულების ნახევარზე მეტია (იხ. დანართი №2), გამომდინარე აქედან შენობის აღდგენა არ არის მიზანშეწონილი.*

*გაგრძელება მე2 გვერდზე*

7. დასკვნა: გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. დარჩელში (მიწის უძრავი ქონების ს/კ 43.25.43.006) მდებარე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული, ყოფილი ავტოფარეხის ერთსართულიანი კაპიტალური შენობის ძირითადი კონსტრუქციული ელემენტები იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში, შენობებზე ატმოსფერული ნალექების შემდგომმა ზემოქმედებამ შესაძლოა გამოიწვიოს გადახურვის ფილების და კედლების დაზიანების ხარისხის ზრდა და მათი ჩამონგრევა. შენობის ფაქტიური ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მისი აღდგენა არ არის მიზანშეწონილი და რეკომენდირებულია მისი დემონტაჟი.

ექსპერტიზის დაწყების თარიღი: 12 ნოემბერი 2015 წ.

ექსპერტიზის დამთავრების თარიღი: 08 დეკემბერი 2015 წ.

ექსპერტი: (ზ. ბერულავა)

ბ. ა.

GEORGIAN CHAMBER OF COMMERCE AND INDUSTRY "ZUGDIDEXPERTIZA" LTD * 220002128 *

აქტი რეგისტრირებულია 08.12.2015წ.

დანართი № 1

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის № 1 საჯარო სკოლა

**ყოფილი ავტოფარეხი შენობა**

შენობის საერთო ფიზიკური ცვეთის კოეფიციენტის განსაზღვრა

| № | კონსტრუქციული ელემენტების დასახელება | კონსტრუქციული ელემენტის მოკლე აღწერა | კონსტრუქციული ელემენტის ხვედრითი წილი | ცვეთის კოეფიციენტი | ცვეთის კოეფიციენტის და ხვედრითი წილის ნამრავლი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | საძირკველი და ზეძირკველი | ლენტური, მონოლითური ბეტონის. | 14 | 0,25 | 3,5 |
| 2 | კედლები და ტიხრები | წვრილი საკედლე ბლოკების და აგურის | 46 | 0,7 | 32,2 |
| 4 | გადახურვა | რ/ბეტონის ღრუტანიანი ფილების | 18 | 0,65 | 11,7 |
| 5 | ბურული | რუბეროიდის | 10 | 1 | 10,0 |
| 6 | ღიობები | ლითონის | 12 | 0,6 | 7,2 |
| | სულ: | | 100 | | 64,60 |

შენობის საერთო ფიზიკური ცვეთის კოეფიციენტი შეადგენს: Ცფ = 64,6/100 = 0,646

GEORGIAN CHAMBER OF COMMERCE AND INDUSTRY, "ZUGDIDEXPERTIZA" LTD
220002128

/ზ. ბერულავა/

დანართი №2

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლა

**ყოფილი ავტოფარეხი შენობა**

**სეისმომდგრადობის თვალსაზრისით შენობის საერთ ვარგისიანობის ინდექსის განსაზღვრა.**

| № | კონსტრუქციული ელემენტების დასახელება | კონსტრუქციული ელემენტის მოკლე აღწერა | კონსტრუქციული ელემენტის ხვედრითი წილი | კონსტრუქც. ელემენტის ვარგისიანობის კოეფიციენტი | ვარგისიანობის კოეფიციენტი ვს (გრ.4Xგრ.5)/100 |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | საძირკველი და ზეძირკველი | ლენტური, მონოლითური ბეტონის. | 14 | 0,9 | 0,13 |
| 2 | კედლები და ტიხრები | წვრილი საკედლე ბლოკების და აგურის | 46 | 0,6 | 0,28 |
| 4 | გადახურვა | რ/ბეტონის წიბოვანი ფილების | 18 | 0,65 | 0,12 |
| 5 | ბურული | რუბეროიდის | 10 | 0,9 | 0,09 |
| 6 | ღიობები | ლითონის | 12 | 0,75 | 0,09 |
| | სულ: | | **100** | | **0,699** |

სეისმომდგრადობის თვალსაზრისით შენობის ვარგისიანობის კოეფუიციენტი ტოლია: ვს = 0,699

გამოსაკვლევი შენობისათვის სეისმომდგრადობის და საერთო ცვეთის თვალსაზრისით ნიშნადობის კოეფიციენტები კს და კც მიიღება შენობის დანიშნულების და მიწისძვრის ინტენსივობის შესაბამისად სათანადო ცხრილის მიხედვით. საანგარიშო ბალიანობა მირებულია - 8 ბალი.

აღნიშნული შენობისათვის კს = 0,7 კც = 0,9

სეისმომდგრადობის თვალსაზრისით შენობის საერთო ვარგისიანობის ხარისხი (საერთო ვარგისიანობნის ინდექსი) სვი განისაზღვრება ფორმულით სვი = (1 - ცფ X კც) X ვს X კს

ე.ი. სვი = (1 - 0,646 X 0,9) X 0,699 X 0,7 = **0,205**

/ზ. ბერულავა/

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო
შ.პ.ს. «ენგურ-აუდიტი»

**Совет Аудиторской деятельности**
**При Парламенте Грузии**
**ООО « ЕНГУР-АУДИТ»**

**Audit Concil**
**at thi Parlament of Georgia**
**LTD « ENGUR- AUDIT»**

ქ. ზუგდიდი ჯანაშიას ქ. №1 ტ. 2-12-30 (855) 141112

Zugdidi janashia st. №1 tel. 2-12-30 (855) 141112

ქ. ზუგდიდი

07 აგვისტო 2016 წ.

# აუდიტორული დასკვნა №23

**სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვა) შეფასების შესახებ.**

აუდიტურმა ფირმა „ენგურ-აუდიტმა“, მოქმედმა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 1999 წლის 20 დეკემბერს გაცემული ზ№085 ლიცენზიის, საფუძველზე, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლის (საიდენტიფიკაციო ნომერი 220373628.) 28.07.2016წ. №MES31600917622 მომართვის საფუძველზე მოახდინა საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვა) შეფასება 2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით არსებულ საბაზრო ფასებში.

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 25.09.2011წ. №80 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ, რომელიც ხელმძღვანელობდა საქართველოს მთავრობის 22 მარტის №82 დადგენილებით, განსაზღვრულ იქნა სკოლის ბალანსზე რიცხული, ჩამოწერას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებები კერძოდ: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. დარჩელში (მიწის უძრავი ქონების ს/კ 43.25.43.006) განთავსებული ყოფილი ავტოფარეხი (შენობა №3), საერთო ფართით 107,0კვ.მ. (იხ. 05.11.2011წ. საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის №1 ოქმი).

საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის №1 ოქმში აღნიშნული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. დარჩელში, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე განთავსებული ავტოფარეხის შენობა (შენობა №3) ჩამოწერის შედეგად მისაღები ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვა) რაოდენობა დადგენილ იქნა შენობების ვიზუალური დათვალიერების და ადგილზე ჩატარებული აზომვების შედეგად. შენობა-ნაგებობების დაშლის შედეგად მისაღები მეორადი გამოყენებისათვის ვარგის სამშენებლო მასალების რაოდენობის დადგენისას გათვალისწინებული იქნა სადემონტაჟო სამუშაოების პროცესში მასალების დაზიანების სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი და შესაბამისად მათი სავარაუდო გამოსავლოანობა.

შენობის დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონების ღირებულება განისაზღვრა საბაზრო ფასებში, საქარველოს საგადასახადო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად. (საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასად ითვლება ფასი, რომელიც ყალიბდება აღნიშნული პერიოდისათვის საქონლის/მომსახურების ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში მსგავსი) საქონლის/მომსახურების მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების შედეგად დადებული გარიგების საფუძველზე. საქონლის ბაზრად ითვლება მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრა გამყიდველის და მყიდველის შესაძლებლობით მნიშვნელოვანი დანახარჯის გარეშე გაყიდოს/შეიძინოს საქონელი გამყიდველისთვის/ მყიდველისთვის უახლოეს ტერიტორიაზე საქართველოში.

**ავტოფარეხის შენობის ჩამოწერის შედეგად მიღებული სამშენებლო მასალა და სხვა.**

| № | აქტივის დასახელება | კონსტ. ელემენტები | რაოდენობა | ერთეულის ღირებ-ბა | ღირებ-ბა სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძველი საქვაბეს შენობა ზომებით (12,4X6,4)მ. სიმაღლე - 3,6მ. | რ/ბეტონის ღრუტანიანი გადახურვის ფილები | 10ც. | 120 | 1200,0 |
| | | ბლოკი სამშენებლო 25% | 400ც. | 0,5 | 200,0 |
| | | არმატურა ფ12 (106მ.X0.89)=145კგ. (ჯართი) | 145კგ. | 0,20 | 29,0 |
| | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ლითონის კარები ზომით (3.0X3.0)მ. წონა (256X2)კგ. | 512კგ. | 0,20 | 102,4 |
| | სულ ჯამი: | | | | 1537,4 |

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, შეიძლება დავასკვნათ, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული, სოფ. დარჩელში (მიწის უძრავი ქონების ს/კ 43.25.43.006) განთავსებული ყოფილი ავტოფარეხის (გაშენების ფართობით 107,0კვ.მ.) (შენობა №3) ჩამოწერისა და მისი დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვა) ღირებულება 2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით არსებულ საბაზრო ფასებში შეადგენს 1537,4 ლარს (ერთი ათას ხუთასოცდაჩვიდმეტი ლარი და 40 თეთრი) ხოლო შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ღირებულება შეადგენს 1175,9 ლარს (ერთი ათას ასსამოცდათუთხმეტი ლარი და 90 თეთრი). (იხ. დანართი №1)

დასკვნა შედგენილია 3 ცალად, ორი გაეცემა დამკვეთს, ერთი ინახება აუდიტორულ ფირმაში.

შ.პ.ს. „ენგურ-აუდიტი“-ს დირექტორი: /ზ. ბერულავა/

## სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული, ყოფილი ავტოფარეხის დემონტაჟის

## ლოკალური ხარჯთაღრიცხვა

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1,176 ათასი ლარი

| №/№ | საფუძველი | სამუშაოების, რესურსების დასახელება | განზ. ერთ. | ნორმატიული რესურსი | | მასალა | | ხელფასი | | მანქანა მექანიზმები | | ჯამი: |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთეულზე | სულ | ერთეულზე | ჯამი | ერთეულზე | ჯამი | ერთეულზე | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| | | ყოფილი ავტოფარეხის შენობა, ზომებით: (12,5X10,3)მ. საშუალო სიმაღლე H-3,3მ. | | | | | | | | | | |
| 1 | სნწ. IV-02-82. ცხ. 46-37-10 | შენობის მიწისზედა ნაწილის (კედლების გადახურვის ფილების, ღიობები) დემონტაჟი, ვარგისი სამშენებლო მასალების დასაწყობებით. შენობის მოცულობა - 424,87კბ.მ. | 1000მ³ | | 0,425 | | | | | | | |
| | | შრომითი დანახარჯი | კაც/სთ | 61,0 | 25,925 | | 0 | 4,6 | 119,26 | | 0 | 119,26 |
| | სრფ. 12-44 | ამწე საავტომობილო სვლაზე 12,5ტ. | მ/სთ | 31,7 | 13,47 | | 0 | 7,01 | 94,4 | 34,8 | 469 | 563,82 |
| | სრფ. 12-289 | პერფერატორი ხელის | მ/სთ | 12,0 | 5,10 | | 0 | | 0 | 5,63 | 28,71 | 28,71 |
| 2 | ე620-1-5-1 | რ/ბეტონის ზეძირკვლის დემონტაჟი პნევმოჩაქუჩის გამოყენებით | მ³ | | 4,05 | | | | | | | |
| | | შრომითი დანახარჯი | კაც/სთ | 4,9 | 19,85 | | 0 | 4,6 | 91 | | 0 | 91,3 |
| | სრფ. 12-289 | პერფერატორი ხელის | მ/სთ | 3,80 | 15,39 | 5,63 | 86,65 | | 0 | | 0 | 86,65 |
| 3 | სრფ 13 | სამშენებლო ნაგავის ტრანსპორტირება - 6კმ. მანძილზე | ტ. | | 48,5 | | | | | 3,45 | 167,33 | 167,33 |
| | | (პირდაპირი ხარჯები) ჯამი: | | | | | 86,6 | | 305,0 | | 665,42 | 1057,05 |
| | | ზედნადები ხარჯები 3% | | | | | | | | | | 31,71 |
| | | ჯამი: | | | | | | | | | | 1088,76 |
| | | გეგმიური დაგროვება 8% | | | | | | | | | | 87,10 |
| | | სულ ჯამი: | | | | | | | | | | 1175,9 |

შემდგენი: /ზ. ბერულავა/

## სადემონტაჟო გენგეგმა მ 1:1500




## სადემონტაჟო სქემა

(სანიმუშო)




## პირობითი აღნიშვნები:

- სკოლის სადემონტაჟო ავტოფარეხის (03)
- არასადემონტაჟო შენობა-ნაგებობები
- სკოლის ეზოს საზღვარი (საკადასტრო)
- ღია სასაწყობო მოედანი
- დროებითი შენობა
- საავტომობილო ამწე
- ამწის სვლის ღერძი
- ამწის კიდურა დგომი
- დროებითი ღობე
- სახიფათო ზონის საზღვარი (პოტენციური)
- კონტურსგარეთა სახიფათო ზონის საზღვარი

## შენიშვნები:

1. წინამდებარე ნახაზი „მო-1" იხილეთ განმარტებით ბარათთან ერთად.
2. წინამდებარე სადემონტაჟო გენგეგმა დამუშავებულია სკოლის ავტოფარეხის შენობის მიწისზედა ნაწილის დემონტაჟის პერიოდისათვის.
3. შენობის დემონტაჟი ხორციელდება საავტომობილო ამწის (ტვირთ-ამწეობით 16 ტნ) დახმარებით. სამუშაოთა წარმოებისას ამწე მოძრაობს შენობის გარეთა მხრიდან, კონტურის გასწვრივ, მიზმით შენობასთან 4 მეტრამდე.
4. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები მოცემულია განმარტებით ბარათში.
5. დემონტაჟის სახიფათო ზონების საზღვრები დაზუსტდეს ადგილზე.
6. სახიფათო ზონის დროებითი მავთულბადის ღობით შემოფარგვლის საკითხი დაზუსტდეს ადგილზე.
7. სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური რიგობრიობა მოცემულია სამუშა-ოთა წარმოების კალენდარულ გეგმაში.
8. ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ-III-4-80*-ის მოთხოვ-ნების შესაბამისად.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დასახელება<br>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. დარჩელის №1 საჯარო სკოლის ავტოფარეხის შენობის დემონტაჟი | | სსიპ<br>საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო<br>მ. ალექსიძის 1. [illegible] №1. II სართული<br>თბილისი<br>საქართველო<br>2600<br>ტ.: (+995 32) 2 200 220; 2 200 233; www.esida.ge | ნახაზის დასახელება<br>სადემონტაჟო გენგეგმა<br>სადემონტაჟო სქემა | სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფროსი<br>მ. ჯონიაშვილი<br>შეასრულა<br>ტარიელ სტურუა |
| | | | ნახაზის სტატუსი<br>ტექნიკური დოკუმენტაცია<br>სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი | მასშტაბი 1:1500 |
| | | | | ნახაზი „მო-1"<br>ფურც. №1<br>სულ ფურც. 1<br>სტადია: რეზიუმა |

# VIII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. დარჩელის №1 საჯარო სკოლის ავტოფარეხის შენობის დემონტაჟი

დემონტაჟის ხანგრძლივობა-1.5 თვე

| № | სადემონტაჟო სამუშაოთა დასახელება | ხანგრძლივობა (თვე) | სამუშაოთა წარმოების გრაფიკი | |
|---|---|---|---|---|
| | | | თვეები | |
| | | | I | II |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | I.მოსამზადებელი სამუშაოები | | | |
| 1 | დროებითი მავთულბადის ღობის მოწყობა | 0.15 | — | |
| 2 | დროებითი შენობის მოწყობა, შიგა ქსელების გამორთვა გარე ქსელებიდან | 0.15 | — | |
| 3 | დროებითი სასაწყობო მოედნების მოწყობა, გამაფრთხილებელი და ამკრძალავი სიგნალების და ნიშნების მოწყობა | 0.15 | — | |
| | II.სადემონტაჟო სამუშაოები | | | |
| 4 | რკინის ჭიშკრების დემონტაჟი; დემონტირებული გადახურვის ფილების გატანა | 0.25 | — | |
| 5 | წვრილი ბლოკის კედლების დემონტაჟი; რკ/ბეტონის სარტყელის დემონტაჟი | 0.8 | — | |
| 6 | საძირკვლების დემონტაჟი | 0.5 | | — |
| 7 | სამშენებლო ნარჩენების გატანა მოედნიდან | 1.0 | — | — |
| 8 | მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალების გატანა მოედნიდან | 1.5 | — | — |

საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY GOVERNMENT

## გამგებლის ბრძანება

N 1890
27/07/2016

1890-02-4-201607271716

### ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. დარჩელში ავტოფარეხის დემონტაჟის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის", ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების, განაშენიანების რეგულირებისა და სამშენებლო სამართალდარღვევის" საკითხთა კომისიის 2016 წლის 25 ივლისის N24 ოქმის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნება მიეცეს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. დარჩელის №1 საჯარო სკოლას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. დარჩელში აწარმოოს მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ კოდით: 43.25.43.006) მდებარე ავტოფარეხის დემონტაჟის სამუშაოები.

2. დემონტაჟის სამუშაოები ჩატარდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

3.დემონტაჟის სამუშაოების შემდეგ, ტერიტორიიდან გატანილ იქნეს სამშენებლო ნაგავი, სოფ. დარჩელის წარმომადგენელთან შეთანხმებით.

4.დემონტაჟის სამუშაოები, წარმოებულ იქნეს წარმოდგენილი პროექტისა და კალენდარული გეგმის დაცვით.

5.დემონტაჟის სამუშაოებზე კონტროლი დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურს.

6 .ბრძანება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

2100 ზუგდიდი. რუსთაველის ქ. 90, ტელ: (0415) 25 01 23, (0415) 22 21 03 E- mail: zugdidi.gamgeoba@gmail.com

7.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. #12)

**საფუძველი:** 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N43.25.43.006

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის წერილი.

3. საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის წერილი.

4. დემონტაჟის პროექტი.

5. ქვითარი მოსაკრებლის გადახდის შესახებ.

ედიშერ თოლორაია

გამგებელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა